



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 18 დეკემბერი, 2014 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
5. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
6. ლელა ბერძული - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
7. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია
8. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
9. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
10. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
11. გელა კვაშილავა - ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“
12. ქეთი მურუსიძე - ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“
13. მიხეილ სარალიშვილი - "მერსი ქორფსი" -ის წარმომადგენლობა საქართველოში
14. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი

15. გვანცა თოთაძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
16. ლაშა წიკლაური - ასოციაცია „საზოგადოება განვითარებისთვის“
17. თენგიზ სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“

განსახილველი საკითხები

- ❖ საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის ხელშეკრულების შესრულებაში სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციათა მონაწილეობისა და ეროვნული პლატფორმის როლის შესახებ. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დეკლარაცია და საკოორდინაციო საბჭოზე განხილვების შედეგები

ოლეგ შატბერაშვილი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე თემატური ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის (ESIDG)

- ❖ აღმოსავლეთ პარტნიორობის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პანელის სხდომის შედეგების შესახებ (ბრიუსელი, 13 ნოემბერი, 2014 წელი)

მანანა წულაია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

- ❖ აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის პანელის მიმოხილვა (ყვარელი, ოქტომბერი, 2014 წელი)

ნინო ელიზბარაშვილი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე თემატური ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ (GAWB)

- ❖ ინფორმაცია ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციაციის დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმის შესახებ

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და ძირითადი საკითხების განხილვამდე ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური შეხვედრის შედეგების შესახებ. მან ჯგუფის წევრებს მიწოდა ინფორმაცია, რომ ფორუმის მსვლელობისას გამართულ არჩევნებში მეორე ჯგუფის კოორდინატორად არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი. ეროვნულ კოორდინატორად კი არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ორივე მათგანი არის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის წევრი. მან ჯგუფის

წევრებთან ერთად მიულოცა აღნიშნული წარმატება არჩეულ კოორდინატორს და უსურვა მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა მიულოცა ჯგუფის წევრებს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება. მან აღნიშნა, რომ ჯგუფში გაწევრიანებულია 40 არასამთავრობო ორგანიზაცია, თუმცა მცირე მათგანი ესწრება შეხვედრებს, რაც წარმოადგენს პრობლემას ჯგუფის ეფექტური მუშაობისთვის.

თანაკოორდინატორმა გააკეთა პრეზენტაცია თემაზე “საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაში სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციათა მონაწილეობისა და ეროვნული პლატფორმის როლის შესახებ“. თანაკოორდინატორმა ისაუბრა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების მნიშვნელობაზე და ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობაზე. მან დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (Civil Society Platform) ჩამოყალიბება, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) მიმართულებით – სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი შექმნა, რომელიც გაიმართება წელიწადში ერთხელ სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით.

თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს ასევე წარუდგინა სქემა, რომლის შემუშავება რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული. მისი თქმით საკოორდინაციო საბჭოს წევრების საერთო აზრია, რომ ახალი სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა დაეყრდნოს, ძირითადად, არსებულ ეროვნულ პლატფორმას და ახალი გაერთიანების შექმნის საჭიროება არ არსებობს. აღნიშნულ პროცესში საკვანძო როლს თამაშობს ECOSOC, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მუშაობაში და ასევე დამსაქმებელთა ასოციაცია.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაციის წარმომადგენელმა გააკეთა პრეზენტაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პანელის სხდომის შედეგების შესახებ. შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ იქნა შემდეგი თემები: მიწის ფრაგმენტაციის პრობლემები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მიწის კონსოლიდაციის მიდგომები, მიწის კონსოლიდაცია - ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა, მიწის კონსოლიდაციის მხარდაჭერა და ა.შ.

თანაკოორდინატორმა მიმოიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის პანელი, რომელიც გაიმართა ყვარელში. პანელის მსვლელობისას ძირითადი ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის საკითხს, ასევე გაიმართა პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიას - 1 SBA.

ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ წარმომადგენელმა წამოაყენა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, შეიქმნას ტრანსპორტის და საგზაო უსაფრთხოების ქვეჯგუფი, სადაც შევლენ სახელმწიფო ორგანიზაციების, კერძო ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რათა ერთობლივად და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით გადაიგდას სწრაფი ნაბიჯები საკონანომდებლო და სხვა აქტივობების განსახორციელებლად. ტრანსპორტის და საგზაო უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანია საზოგადოებამ და დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ ინფორმაცია საგზაო უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის სფეროებში არსებული ევროპული რეგულაციებისა და მათი შესრულების ვადების შესახებ, აგრეთვე იმ გამოწვევებზე და დადებით მხარეებზე, რაც შეუძლია საქართველოს მოუტანოს ამ სატრანსპორტო სივრცეში გაწვევრიანებამ.

პლატფორმის თავმჯდომარისა და ჯგუფის წევრების მხარდაჭერის შედეგად გადაწყდა, რომ აღნიშნული საკითხი განიხილება პლატფორმის ყოველწლიურ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2015 წლის იანვარში.

ჯგუფის წევრებმა განიხილეს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არსებული გამოწვევები, რის შემდეგაც ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ დასრულდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია